პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 29 (6094)

1978 წ. 9 თებერვალი ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## მეშვიდე პარტია

**საშუაბათს,** ბად-კისინგენში (გფრ) ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მ. ჩიბურდანიძესა და ა. კუშნირს შორის VII პარტია გათამაშდა.

ჩანს, კუშნირი საგანგებოდ მოემზადა ამ შეხვედრისთვის, რადგან ქველინდური დაცვის წინააღმდეგ, რომელსაც ჩიბურდანიძე სისტემატურად იყენებს ამ მატჩში, მან ფიგურები ახლებურად განავითარა. მაგრამ თამაშის ამ სისტემამ თეთრებს უპირატესობა ვერ მოუტანა.

ქართველმა მოჭადრაკემ მე-10 სვლისთვის ძველინდური დაცვის ცნობილი პოზიცია მიიღო. სწორედ ამ დროს კუშნირმა აქტიური ოპერაცია წამოიწყო ლაზიერის ფრთაზე. თამაში დაიძაბა.

ცენტრში პაიკების გაცვლისას (მე-13 სვლაზე) ჩიბურდანიძეს შეეძლო ფიგურის დროებითი შეწირვით საინტერესო ტაქტიკური შეხლა-შემოხლა გამოეწვია. მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. ჯერ მიიღო ხარისხის შეწირვა, მერე გონივრულად უკან დააბრუნა იგი და თანაბარი პოზიცია შეინარჩუნა. მართალია, კუშნირს ორი კუს უპირატესობა დარჩა, მაგრამ მათი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ჩიბურდანიძე მუქარას ფხიზლად იგერიებდა. კუშნირმა რამდენჯერმე გადააჯგუფა ფიგურები რეალური უპირატესობის მისაღებად, მაგრამ ამაოდ.

პარტიის გადადების წინ ჩიბურდანიძემ აიძულა მეტოქე გაეცვალა ლაზიერები. დაფაზე მხოლოდ მსუბუქი ფიგურები დარჩა. შეწყვეტილ პოზიციაში თამაშის გართულების გზები არა ჩანს. მდგომარეობა თანაბარია.

### კუშნირი — ჩიბურდანიძე

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. მf3 0—0 5. კf4 d6 6. e3 მbd7 7. კe2 c6 8. 0—0 ლe8 9. h3 e5 10. კh2 ლe7 11. b4 ეe8 12. c5 dc 13. de მh5 14. bc მ:e5 15. მe4 მ:f3+ 16. კ:f3 კ:a1 17. ლ:a1 კf5 18. მd6 მf6 19. მ:e8 მ:e8 20. ლc3 ეd8 21. ლa5 a6 22. e4 კe6 23. კg3 ეd4 24. ეb1 ეd7 25. მფh2 ლf6 26. a3 h5 27. h4 ლe7 28. ეd1 ე:d1 29. კ:d1 ლd7 30. კc2 ლd4 31. ლb4 ლd7 32. ლc3 ლd8 33. ლe3 მფh7 34. f3 კc4 35. ლf4 მg7 36. კf2 მფg8 37. ლe5 მe6 38. ლc3 კe2 39. კb3 ლd3 40. ლ:d3 კ:d3. პარტია გადაიდო.

### გუშინ

გადადებული პარტიის განახლების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა, მოწინააღმდეგენი გვიან ღამემდე აგრძელებდნენ ჰაექრობას...

დღეს მეტოქეებმა VIII პარტია უნდა ითამაშონ.

# ორჯერ მოგებული ორთაბრძოლა

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — ვეფ-ი (რიგა) 98:95 (55:55).

„ДИНАМО": ჩხიკვაძე (4), გარუჩავა (10), ნ. ქორქია, დერიუგინი (43), გულდედავა (10), მ. ქორქია (8), გრძელიძე (16), პულავსკი (12).

ВЭФ-И: კალნინში (2), ჩირკოვი (2), იანსონსი (4), ვალტერსი (10), ბალოდისი (2), ჟვიგურსი (30), იაგუბკინი (2), კრიშიტონსი (9), დუაროვი (18), ვისოცკი (4), ვანსოვიჩი, ბირზნიეკსი (12).

მსაჯები: ვ. ზაიცევი (მოსკოვი), ვ. შამისი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 87:80 (46:39).

ჩვეულებრივ, მატჩი იქნება თუ სხვა სახის სპორტული ორთაბრძოლა, ერთხელ გამარჯვება სავსებით საკმარისია. შეხვედრა რიგის ვეფ-თან „დინამომ" ორჯერ გაიხადა მოსაგებად.

პირველი თორმეტწუთიანი ტაიმის დასრულებას აღარაფერი უკლდა, როცა მასპინძლები 16 ქულით დაწინაურდნენ. რა თქმა უნდა, ვეფ-ი საკმაოდ ძლიერი, კარგად შეკრული და ნებისყოფიანი კოლექტივია, მაგრამ ის გუნდი მაინც არ არის, შენს საკუთარ მოედანზე ჯერ ასეთ ნოკდაუნს გაუძლოს, მერე გამოერკვეს, წყალიც აგიმღვრიოს და ბოლოს თვითონ გადმოვიდეს შეტევაზე, თანაც ისე, რომ სათუოდ აქციოს თითქოსდა განაღდებული გამარჯვება. არა, აქ უიღბლობა მოსატანი არ არის, „დინამომ" თვითონვე ჩაიგდო თავი ასეთ დღეში, თვითონვე გაიღო სამისო საფასურიც — ორჯერ გამარჯვებას ხომ ორმაგი ოფლისღვრა და გარჯა სჭირდება.

ისე კი, ყველაფერს იმის პირი უჩანს, რომ წლეულს იოლ გამარჯვებებს არ უნდა ველოდეთ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — ასეთი არც იქნება. უთუოდ თავისას ამბობს ჩემპიონატის ახალი სისტემა — თორმეტი, რვა და ოთხი.

საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა თანდათანობით შემცირება თავისთავად გამორიცხავს უინტერესო მატჩებს — მეთვალყურის როლში ყოფნის დრო არცერთს, ძლიერი იქნება ეს კოლექტივი თუ სუსტი, უბრალოდ, არ დარჩება. ამგზნებ საშუალებად ერთგან უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხეა, მეორეგან სანუკვარ ოთხეულში მოხვედრა, მესამეგან — მედლები. ესეც არ იყოს, შეინიშნება ღირებულებათა ერთგვარი გადაფასებაც — გუნდები როგორღაც გათანაბრდნენ.

თბილისელთა სასტარტო ხუთეულმა — ჩხიკვაძე, გრძელიძე, დერიუგინი, მ. ქორქია, პულავსკი — როგორც დაიწყო, ისეც დაამთავრა პირველი მინი-ტაიმი. თამაშობდა გააზრებულად, სწრაფად და რაც მთავარია, მრავალფეროვნად. ეფექტური გამოდგა თითქმის ყველა პირველი შეტევა, ზუსტი იყო შორი ტყორცნები, შედეგიანად მოქმედებდა თავდამსხმელთა ტრიო — ქორქია და პულავსკი ხელოვნურ დერეფნებს ქმნიან მეტოქის ფართან, რამაც ერთობ სახალისო „სამუშაო" გაუჩინა გუნდის ბომბარდირს დერიუგინს. დინამოელთა ცენტრი მეთოდურად აგროვებს ქულებს. ერთი დეტალი: ნიკოლოზმა თავისთვის უჩვეულო პოზიციიდან — საშუალო დისტანციიდან ორჯერ „გაბედა" და ორჯერვე მოათავსა ბურთი კალათში. კარგი იყო გამთამაშებელთა წყვილიც — ჩხიკვაძე — გრძელიძე.

ვეფ-ი ყველა ღონეს ხმარობს — კალათბურთელებსაც ცვლის, თამაშის მანერასაც, რამდენჯერმე პრესინგსაც მიმართა — არაფერმა გაჭრა, მთელი ტაიმის განმავლობაში უცვლელი შემადგენლობით მოთამაშე დინამოელთა შეჩერება ვერ მოხერხდა — 32:18.

## კალათბურთი

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

●

მეორე მინი-ტაიმი „დინამომ" 14 ქულით წააგო. მესამე — 8 ქულით. 24 წუთში თბილისელებმა მეტოქეს, ალბათ არ შევცდებით თუ გიტყვით, „ხონჩით მიართვეს" 22 ქულა. ჩვენ სრულიადაც არ ვცდილობთ ვეფ-ის დამსახურების დამცირებას, მაგრამ დინამოელთა ერთობ თვალსაჩინო შეცდომები რომ არა, ასეთი რამ არ მოხდებოდა.

თქმა არ უნდა, ერთი ხუთეულით მატჩს ვერ მოიგებ, მაგრამ კორექტივების შეტანა მაშინ, როცა ის ალმავლობით თამაშობს, გაუმართლებლად გვესახება. მეორე შეცდომა თვით კალათბურთელებს მოუვიდათ — უთუოდ ნაადრევია დამშვიდება, როცა მატჩის დასასრულამდე 36 (!) წუთია. რიგელები ბრც ისე უბილონი არიან, როგორც ეს შეიძლება მოგვჩვენებოდა.

ვეფ-მა მართლაც შეუძლებელი შეძლო, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ერთობ ძვირი დაუჯდა მატერიალური დანაკლისის ანაზღაურება — გუნდის წამყვან მოთამაშეებს პერსონალური შენიშვნების საკმაოზე მეტი მარაგი დაუგროვდათ. მესამე ტაიმში მოედანი დასტოვა ჟვიგურსმა, მეოთხეში კი ერთიმეორის მიყოლებით დუაროვმა და ჩირკოვმა. ალბათ ამანაც განაპირობა ბალტიისპირელთა საბოლოო მარცხი. ამ სამი კალათბურთელიდან ორმა — ჟვიგურსმა და დუაროვმა კოლექტივს 48 ქულა შესძინა.

აქ ალბათ დროული იქნებოდა იმის თქმა, რომ გამარჯვება მაინც გამარჯვებაა და მარტო ეს ფაქტიც კი საყვედურის სურვილს არ უნდა გვიტოვებდეს, მაგრამ...

მოვიშველიოთ ციფრები: „დინამოს" 92 სროლიდან 39 იყო შედეგიანი — 42 პროცენტი. ჩვენმა მეტოქემ 78-დან 42 დაასრულა ზუსტი ტყორცნით — 54 პროცენტი. „ჟალგირისთან" მატჩში „დინამომ" უამრავი საჯარიმო ვერ გამოიყენა. ამ თვალსაზრისით გუშინწინდელმა შეხვედრამაც უსიამო მოგონება დაგვიტოვა. თბილისელებმა 32-დან 20 მოათავსეს კალათში, რიგელებმა 12-იდან — 11. 62 პროცენტი 92-ის წინააღმდეგ. რომ იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. და კიდევ ერთი: ხშირად დაგროვებული ქულები ზუსტად არ ასახავს თამაშის ხარისხს, მაგრამ მიხეილ ქორქიას სამად სამმა ქულამ, ბუნებრივია იმოქმედა მატჩის მსვლელობაზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს ერთიც: „ჟალგირისთან" ორთაბრძოლას, მატჩს რომელიც თავისი ხანგრძლივობითა და დაძაბულობით ორს გასწვდებოდა, ქართველმა კალათბურთელებმა ერთობ დიდი ენერგია შეალიეს. თუ რა ძვირი დაუჯდათ ის შეხვედრა იმდღევანდელ მეტოქეებს კიევის „სტროიტელისა" და „ჟალგირისის" გუშინწინდელმა მატჩმაც აჩვენა. აქამდე უფერულად მოთამაშე „სტროიტელმა" ხაკმაოდ იოლად, დიდი სხვაობით გაიმარჯვა.

ახლა თბილისის „დინამოს" სამი ძნელი შეხვედრა ელის კიევში, ლენინგრადსა და კაუნასში — 10, 13 და 17 თებერვალს. დასანანია, რომ ამ საპასუხისმგებლო მატჩების წინ თბილისელთა რიგებს ტრავმის გამო კიდევ ერთი კალათბურთელი, იური პულავსკიც გამოაკლდა. მით უმეტეს, რომ დინამოელთა თავდამსხმელმა ურიგოდ არ ითამაშა ბოლო მატჩი.

ორიოდე სიტყვა დუბლიორებზეც. „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობა მოსკოვში ორი გამარჯვების შემდეგ, მართალია დამარცხდა „ჟალგირისთან", მაგრამ 7 თებერვალს შეხვედრა ისევ მონდომებით ჩაატარა და ახლა 3 ქულით ლიდერობს.

გუნდში არის რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი და ზოგ მათგანს ალბათ წლეულსვე ვიხილავთ ძირითად შემადგენლობაში.

ი. ბერიაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ნ. დერიუგინი; ქვევით — პულავსკი, გარუჩავა და გულდედავა.





### კიდევ ერთი მატჩი

**7 თებერვალს** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ერთი მატჩი.

კიევში ადგილობრივმა „სტროიტელმა" უმასპინძლა კაუნასის „ჟალგირისს". გაიმარჯვეს მასპინძლებმა 113:89 (51:43). ყველაზე შედეგიანები იყვნენ: კიეველთაგან ტკაჩენკო — 31 ქულა, სტუმართაგან ქუკაიტისი — 32.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 თებერვლისთვის

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 1421:1163 | 13 |
| „დინამო" თბ. | 15 | 1359:1364 | 10 |
| „სპარტაკი" | 14 | 1174:1104 | 9 |
| „დინამო" მ. | 15 | 1464:1388 | 8 |
| „ჟალგირისი" | 15 | 1394:1399 | 8 |
| „კალევი" | 15 | 1274:1288 | 8 |
| ვეფ-ი | 15 | 1443:1477 | 7 |
| „სტროიტელი" | 15 | 1209:1242 | 6 |

# გოგონებმა ქალებს დაჯაბნეს

**ბაკურიანი, 8 თებერვალი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება საქართველოს ზამთრის IV სპარტაკიადა. შეჯიბრების მეორე დღეს ქარმა და თოვამ „მფრინავ მოთხილამურეთა" ასპარეზობის გრაფიკში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა — მისი სტარტი დღეისთვის გადმოიწია. ახლა, როცა განვლილ დღეთა შეჯიბრების შედეგებზე ვსაუბრობთ, ტრამპლინზე სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის, ხოლო მორბენლები 10 კილომეტრზე ცდიან ძალებს.

სამთომოთხილამურეთა ტურნირის მონაწილეებს პირველი სტარტი კოხტაგორის ძველ, ნაცნობ ფერდობზე გიგანტურ სლალომში ჰქონდათ. 1200-მეტრიან დისტანციაზე ქალები თითოჯერ ეშვებოდნენ, ვაჟები — ორ-ორჯერ. აღსანიშნავია, რომ გოგონებში სამივე პრიზიორმა გაცილებით უფრო უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს, ვიდრე ქალთა შორის ყოჩაღებმა მოთხილამურეებმა.

აბსოლუტურად საუკეთესო დრო ჰქონდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს წლევანდელ ჩემპიონს, ბორჯომის გუნდის წევრს მერი კოზანაშვილს — 1.34,0. მას 4 წამით ჩამორჩა თანაგუნდელი თ. გელაშვილი. ფ. ფანჯაკიძეს (ბორჯომი, „დინამო") III ადგილის მოპოვება შეძლო — 1.46,0, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან ქალთა შორის ჩემპიონს თ. ბანდურს (ბორჯომი, „დინამო") 0,8 წამით აჯობა.

ქალებში II ადგილზეა ც. კოზანაშვილი (ბორჯომი, „დინამო") III — თბილისელი სტუდენტი მანანა კოზანაშვილი — 2.07,4.

ვაჟთა შორის პირველივე ცდაზე დაწინაურდა სპარტაკელი სპორტის ოსტატი ს. მიქაბერიძე (თბილისი), მან უპირატესობა მეორე ცდაშიც შეინარჩუნა და 2,46 წამით ჩამოიტოვა მასპინძელი დ. თვაური („კოლმეურნე"), რომლის შედეგია 2.33,97. მესამე ადგილი ერგო თბილისელ სტუდენტს ლ. ბანდურს — 2.35,6.

იუნიორთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ა. კოზანაშვილი (თბილისი, „დინამო") — 2.39,37, თ. ჯაფარიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი") —2.44,19, ი. გავა (ბორჯომი, „დინამო") — 2.45,9.

გუშინ მოთხილამურეები 15 კილომეტრზე დარბოდნენ. სასიხარულოა, რომ, როგორც ვაჟთა, ისე იუნიორთა შორის მაჩვენებლები საკმაოდ მჭიდრო გამოდგა, ახლა ადგილების ბედს წუთები კი არა, წამები წყვეტდნენ. ასე, მაგალითად, ბორჯომელმა ლ. სოლოიანმა („კოლმეურნე") ბაკურიანელ ა. მოროზოვთან („ბურევესტნიკი" — 51,42), რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, მხოლოდ 3 წამი წააგო. ჩემპიონი გახდა თბილისელი ა. კალმიკოვი („ბურევესტნიკი") — 51.25.

იუნიორებში ყველა საპრიზო ადგილი თბილისელებმა დაიკავეს. ნ. მიტინმა („კოლმეურნე") 53.30 აჩვენა, ნ. დიაკონაშვილმა („სპარტაკი") 54.14, ვ. ტერუხოვმა („კოლმეურნე") 54.34.

სამი დღის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა ბორჯომის რაიონის ნაკრები — 476 ქულა. შემდეგ არიან თბილისის გუნდი (433) და ბოგდანოვკის კოლექტივი (282).

სპარტაკიადა გრძელდება.

მ. ზაქარეიშვილი.

საბჭოთა არმიის 60 წლისთავისთვის

# „გვსურს, მომავალმა თაობებმა იცოდნენ“...

**საბჭოთა** ადამიანები არ ივიწყებენ მათ სახელებს, ვინც დიდ სამამულო ომში გმირულად დაიღუპა ჩვენი კეთილდღეობისთვის. მესამე წელია ლენინგრადში მოსწავლე ძიუდოისტთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი ტარდება **საბჭოთა კავშირის გმირის ვ. პეტროვის სახელობის პრიზზე.** ახლახან სწორედ ასეთ შეჯიბრებას მასპინძლობდა ქალაქი ნევის პირას. ასპარეზობაში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების 23 გუნდის 231 ძიუდოისტი.

ქართველი ძიუდოისტებიდან ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე **დ. ხუსკივაძემ** ყველას აჯობა მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში. ამასთან, დავითმა ყველა შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო. მეტოქეებზე ასევე მთელი თავით მაღლა ალმოჩნდა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშეს საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე **დ. გელაშვილი.**

ჩვენი მოჭიდავეებიდან ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ჯ. მჭედლიშვილმა** და **გ. გოგოლაურმა,** ხოლო ბრინჯაოსი — **დ. ხორგუაშვილმა** და **ე. მსხალაძემ.**

გუნდურ შეჯიბრებაში საუკეთესონი იყვნენ ლენინგრადელი ძიუდოისტები. ქართველმა მოჭიდავეებმა II ადგილი დაიკავეს, ხოლო III — კურსკელებმა.

შეჯიბრების შემდეგ ასპარეზობის საპატიო სტუმარმა, ვ. პეტროვის თანაპოლკელმა, თადარიგის პოლკოვნიკმა **ნ. ნიზინსკიმ** ქართველი ძიუდოისტები და მათი მწვრთნელები მიგვიხმო.

— ჩვენთან ერთად 143-ე მსროლელთა პოლკის 48-ე დივიზიაში იბრძოდა თქვენი თანამემამულე, **უფროსი ლეიტენანტი ჯაფარიძე.** ყველასაგან გამორჩეული ყმაწვილი გახლდათ, ახოვანი იყო, ხალისიანი და მამაცი. ჯაფარიძე და პეტროვი კარგი მეგობრები იყვნენ. მახსოვს, ხარკოვთან ახლოს, ბელგოროდის ოლქში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ბრძოლის ველზე დაიჭრა პოლკის კომისარი სიზდიკოვი. მის გადასარჩენად ჯაფარიძე გაეშურა, პეტროვი კი მტერს ცეცხლს უშენდა და ქართველ ჯარისკაცს იცავდა. ჯაფარიძემ მძიმედ დაჭრილი პოლკის კომისარი ბრძოლის ველიდან გამოიყვანა.

1943 წლის 26 იანვარს ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჯაფარიძე გმირულად დაიღუპა. სათუთად ვინახავ გულში ჯაფარიძის ხსოვნას — აღელვებით ამბობს ნ. ნიზინსკი — გთხოვთ ყველას შეატყობინოთ პრესის საშუალებით, ვინც იცნობდა ჯაფარიძეს, გამომიგზავნონ მის შესახებ ცნობები, ფოტოსურათი და სხვა მასალები, რადგან თანამებრძოლებს გვსურს, რომ მისი ვაჟკაცობისა და გმირობის ამბავი ჩვენმა მომავალმა თაობებმა იცოდნენ...

ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძემ მიკარნახა თავისი მისამართი: **197047 ლენინგრადი, მარტინოვის სანაპირო, ბინა 12, ოთახი 7. ტელეფონი: 2850444.**

**ი. იმერლიშვილი,**
**სპორტის ოსტატი, განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში.**


ეროვნული ბიბლიოთეკა






**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზევით — ილეთს ატარებს დ. ხუსკივაძე (ზემოდან); ქართველ ძიუდოისტთა მწვრთნელები ი. იმერლიშვილი, ვ. ლაზრიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. პეტროვის თანამებრძოლები გ. ბურტოვკინი და ნ. ნიზინსკი; ვ. პეტროვის თანამებრძოლებმა ქართველ ძიუდოისტთა ერთ ჯგუფთან — ჯ. მჭედლიშვილთან, გ. გოგოლაურთან, დ. ხუსკივაძესთან და დ. გულაშვილთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

ბ. შჩეშნიკოვის ფოტოები.

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

# პასუხი — ფინალში

**მესამე საკავშირო საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშები — საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილი, — ერთ-ერთი დიდი კომპლექსური და მასობრივი ღონისძიებაა. ამიტომაც, ბუნებრივია, მეტად დაძაბული მუშაობაა საჭირო, რომ ჩვენი სოფლის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზონ თამაშების ფინალურ ეტაპზე, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართება მოლდავეთში.**

საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშები, რომელიც უსწრებს სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადასა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს, დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად ხორცშესხმას — სოფლის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვას, გმდ კომპლექსის საფუძველზე მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას, სოფლის მშრომელთა შორის სპორტის შემდგომ განვითარებას, სპორტული მიღწევების ამაღლებას, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენას, სოფლის მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას...

ზაფხულის ამ მეტად მნიშვნელოვანი სტარტებისთვის მზადების მიზნით ჩვენთან მრავალი სასარგებლო ღონისძიება ჩატარდა. კარგი შედეგები მოგვცა ბავშვთა სპორტული სკოლების გახსნამ, მათი მუშაობის გადაყვანამ ახალ, ერთწლიან სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე, საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ორგანიზაციამ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულმა მწვრთნელ-ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედმა ერთთვიანმა დასწრებულმა და ათთვიანმა დაუსწრებელმა კურსებმა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებში კონტიგენტის გაფართოებამ. საგრძნობლად დაიხვეწა და სტაბილური გახდა სოფლის სპორტსმენების ასპარეზობათა კალენდარული გეგმაც. ტრადიციად იქცა დარგობრივი სპარტაკიადების ჩატარება. მესტიაში, მახარაძეში, ლაგოდეხში, ბაკურიანში, გალში აშენდა სპორტული კომპლექსები. ყოველივე ეს, ბუნებრივია, დიდად შეუწყობს ხელს სოფლის სპორტსმენთა წარმატებით გამოსვლას საკავშირო თამაშებში. მაგრამ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ გარკვეული ძვრების, დადებითი მოვლენების მიუხედავად, სოფლის სპორტსმენებს კვლავ ბევრი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი: რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მეტად დაბალია სპორტსმენთა საერთო მომზადების დონე. ბევრ რაიონში არ არის სრულყოფილი სპორტული კომპლექსები, ზოგან მეტად ჭიანურდება მათი აგება-რეკონსტრუქციის სამუშაოები, ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობას. ჭირს ყველა სახის ხარისხიანი, ხშირად უბრალო, სპორტული ინვენტარის შოვნაც კი. დაბალია ბევრი ინსტრუქტორ-მეთოდისტის, მწვრთნელის მომზადების დონე, ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის...

...III საკავშირო სასოფლო თამაშებისთვის მზადების მთავარ, ძირითად ეტაპად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სასოფლო სპორტული თამაშების ფინალური სტადია, რომელიც სულ რამდენიმე დღეში აიღებს სტარტს და რომლის შემდეგაც საბოლოოდ დაკომპლექტდება რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა ნაკრები გუნდები. რესპუბლიკური თამაშები 18 სახეობაში ჩატარდება: ჭადრაკში, შაშში, ტყვიის სროლაში, სასტენდო სროლაში, მშვილდოსნობაში, ნიჩბოსნობაში, ცხენოსნობაში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში, მძლეოსნობაში, სიმძიმეების აწევაში, ველოსპორტსა და ქართულ ჭიდაობაში.

საერთოდ, თამაშების პირველი ეტაპი ფიზკულტურულ კოლექტივებში იწყება, შემდეგ მოჰყვება რაიონული, საქალაქო, საოლქო, ზონალური და რესპუბლიკური თამაშები, სადაც ვლინდებიან რჩეული სპორტსმენები. ფინალურ ეტაპზე სწორედ მათი შედეგები მოგვცემს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ მოკავშირე რესპუბლიკებში სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ავკარგიანობის შესახებ.

ნაკრებმა გუნდებმა კარგა ხანია დაიწყეს ვარჯიში. თუ რამდენად მომზადებული მოვიდნენ ისინი დღემდე, ამაზე რესპუბლიკური თამაშები გაგვცემს პასუხს.

**დ. პეტიძე.**

ხელბურთი

ემზადებიან მოსწავლეთა XV სპარტაკიადისთვის

# თბილისელთა უდავო უპირატესობით

**ბათუმში,** ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში საქართველოს ხელბურთელთა პირველობა ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1961-62 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები. გოგონათა ასპარეზობაში გამოდიოდა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, რუსთავის, სამხრეთ ოსეთის, ფოთისა და ქუთაისის, ხოლო ჭაბუკებში თბილისის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, აფხაზეთის, სამტრედიის, თელავისა და ქუთაისის კოლექტივები.

თბილისელთა გუნდებმა, რომლებიც დაკომპლექტებული იყვნენ განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთელთა სპეციალიზებული სპორტსკოლის (დირექტორი ჯ. ცერცვაძე) ბაზაზე, ყველას აჯობეს როგორც გოგონათა, ისე ბიჭების შეჯიბრებაში. თბილისელმა გოგონებმა (მწვრთნელი ო. შაქარაშვილი) ქვეჯგუფში სძლიეს აფხაზეთისა (31:14) და ქუთაისის (26:6) კოლექტივებს, ხოლო ფინალში აჭარელთა კოლექტივი დაამარცხეს (22:16), ჭაბუკებმა (მწვრთნელი რ. ჭანტურია) ქვეჯგუფში მოუგეს აფხაზეთის (31:14), ქუთაისისა (38:23) და სამხრეთ ოსეთის (30:19), ხოლო ფინალში აჭარის (35:21) გუნდებს.

საბოლოო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები — I — თბილისი, II — აჭარა, III — აფხაზეთი. ჭაბუკები — I — თბილისი, II — აჭარა, III — რუსთავი.

ეს შეჯიბრება მოსწავლეთა XV საკავშირო სპატაკიადისათვის მზადების ნიშნით ჩატარდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა თბილისელ ჭაბუკთა მონაწილეობა რიგის საკავშირო ტურნირში, რომელიც რესპუბლიკურ პირველობამდე ერთი კვირით ადრე მოეწყო. თბილისელმა ხელბურთელებმა უკრაინის, ლატვიის, უზბეკეთის, ბელორუსიისა და მოსკოვის ძლიერ კოლექტივებთან ბრძოლაში III ადგილი დაიკავეს, ხოლო მ. ჩხარტიშვილმა საუკეთესო მეკარის პრიზი დაიმსახურა.

კრივი

**ქუთაისში** რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირადი პირველობა კრივში მოსწავლეთა შორის. საასპარეზოდ გამოვიდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 109 მოკრივე. ეს შეჯიბრება ძალების ერთგვარი მოსინჯვაც იყო მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის წინ. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ტურნირში პირველად მონაწილეობდნენ ტყიბულის, ჭიათურისა და სამტრედიის მოკრივეები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. მენთეშაშვილი (რუსთავი), პ. გობეჩია (ფოთი), ა. კამიშნიკოვი (სოხუმი), ა. გოგსაძე (ქუთაისი), დ. ყურაშვილი (ფოთი), ა. მარქარიანი (ახალციხე), დ. გიკაშვილი (თბილისი), ა. ქვილითაია (სოხუმი), მ. კეკოშვილი (ცხინვალი), მ. ვაშაძე (ჭიათურა), მ. ჯალალონია (სოხუმი), ვ. სუხორუკოვი და დ. ლაცაბიძე (ორივე — თბილისი).

**გ. ამირიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

### თამაშობენ ნახევარფინალისტები

ახალციხის საჭადრაკო კლუბში დაიწყო საქართველოს ქალთა პირველობის ერთ-ერთი ნახევარფინალი.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: თ. მესხი, ა. შანიძე, ი. ანდროლაძე (სამივე — ქუთაისი), ც. ქასოშვილი, ნ. ხუბულური (ორივე — გორი), ლ. აგაბაშვილი (რუსთავი), ნ. იმნაძე (მაჯარაძე), ნ. გოგია (ცხაკაია), ნ. გელაშვილი, ნ. კვესელავა (ორივე — ახალციხე).

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ: აგაბაშვილი, ხუბულური — 2,5-2,5 ქულა, მესხი — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია. აღსანიშნავია მესხის მოგება ქასოშვილთან.

**ვ. დათეშაშვილი,**
**ნახევარფინალის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

### მეხუთედ

ფიდე-სთან არსებულმა საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ გამოაცხადა 1977 წლის საუკეთესო მოჭადრაკის გამოსავლინებელი კონკურსის შედეგები.

პლანეტის № 1 მოჭადრაკედ ჟურნალისტებმა დაასახელეს მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი. წესისამებრ, კარპოვს გადაეცემა ოქროს „საჭადრაკო ოსკარი“.

1973 წლიდან კარპოვი მეხუთედ ცხადდება წლის საუკეთესო მოჭადრაკედ.

## სპორტული ცეკვები პარკეტზე

ვილნიუსი. ვილნიუსის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის მასწავლებლებმა დალია და ვიდას ჟამაიტისებმა გაიმარჯვეს პარკეტის სპორტული ცეკვების ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირ „ვილნიუს-78“-ში, რომელიც ლიტვის დედაქალაქის სპორტის სასახლეში გაიმართა. ეს წყვილი პირველი იყო საბჭოთა ცეკვების კონკურსშიც.

ევროპული ცეკვების („სტანდარტი“) საუკეთესო შემსრულებლები არიან გდრ-ის ჩემპიონები მარია და ედგარ შტრაუმპფები, ხოლო ლათინური ამერიკის ცეკვებში კი ტოლი არ ჰყავდათ მოსკოველ ინჟინრებს ლიუდმილა და სტანისლავ პოპოვებს.

სამივე წყვილი საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი და 1976 წელს უსტ-ნადლაბემში (ჩეხოსლოვაკია) ჩატარებული სოციალისტური ქვეყნების ჩემპიონატის პრიზიორია (სამდესი).

## ფრენბურთი

ოდესაში გრძელდება უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები. აი, მორიგი მატჩების შედეგები: ცსკა — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 3:1, „კალევი“ (ტალინი) — „დინამო“ (მოსკოვის ოლქი) 3:2, „ლოკომოტივი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (კამჩატკის პეტროპავლოვსკი) 3:0, „რადიოტექნიკი“ (რიგა) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 1:3, „ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი) — ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) 3:0, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — „რადიოტექნიკი“ 1:3, „სპარტაკი“ — „მოტორი“ (მინსკი) 3:1, ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — „კალევი“ 3:0, „დინამო“ — „ლოკომოტივი“ (კიევი) 1:3, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „ზვეზდა“ 3:1.

## „იმედის სპარტების“ პროგრამით

ჩოხატაურში ჩატარდა „იმედის სპარტების“ პროგრამით გათვალისწინებული რაიონული სპარტაკიადა კალათბურთში, რომელშიც მოსწავლეთა 19 გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვეს ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის ვაჟთა და ზოფრეცხის რვაწლიანი სკოლის გოგონათა გუნდებმა.

**დ. ბურბენიძე.**

---

### „ლელოს“ მკითხველთა თხოვნით

## მეკლდეურობა — საბჭოთა სპორტის პირმშო

# ციცაბო კლდეებზე, აკრობატული ილეთებით...

ჩვენი მკითხველები, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ზ. გიორგაძე, მ. შათირიშვილი და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი თ. წყაროველი გვთხოვენ მოვუთხროთ საქართველოში მეკლდეურობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ.

ვასრულებთ მათ თხოვნას.

●

ქართველ ხალხს პოლიტიკური ვითარებისა თუ სხვადასხვა მიზეზების გამო უხსოვარი დროიდან უხდებოდა კლდოვანი მასივების ათვისება. ამისი საოცარი მაგალითებია კლდეში ნაკვეთი ქალაქები: ვარძია, უფლისციხე, დავით გარეჯი თუ მრავალი სხვა.

გამოჩენილ გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს კარგად აქვს აღწერილი ძნელად მისავალი ქვაბულები, სადაც ქართველები თავის საგანძურს მალავდნენ უცხო დამპყრობთა შემოსევების დროს. ერთ-ერთ ასეთ განძთსაცავად ვახუშტი ასახელებს ხვამლის მთას, რომელიც ქუთაისის მახლობლად მდებარეობს. მასში შეღწევა თანამედროვე ალპინისტური ტექნიკის ცოდნას მოითხოვს.

1939 წელს გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოეწყო საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ექსპედიცია. ექსპედიციამ ხვამლის კლდის თავიდან 250 მეტრის სიგრძის თოკის დაშვებით, ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით შეაღწია ხვამლის ქვაბულში, ასევე მოახერხეს ორხვისა და ტვიშის გამოქვაბულებში შესვლა, რომლებიც მდინარე რიონის გასწვრივ, 350 მეტრის სიმაღლის კლდეებშია გამოკვეთილი.

1948 წელს შიო მღვიმის იარუსებად განლაგებულ ქვაბულებში, სხალტბის ქედიდან დაეშვა მთამსვლელთა ჯგუფი გეოგრაფიის მეცნიერების დოქტორის ლ. მარუაშვილის მეთაურობით.

დიდი განძი შესძინა ქართულ ისტორიოგრაფიას ქარელის რაიონში მდებარე თრეხვის გამოქვაბულების შესწავლამ. აქ მთამსვლელთა ჯგუფმა აღმოაჩინა ქვის სტელა ქართლის ცხოვრების მემატიანის ლეონტი მროველის წარწერით.

კლდეში ნაკვეთი მრავალი ნაგებობა მეტყველებს იმ დიდ წარსულზე, როდესაც ადამიანი კლდეებთან თუ კლდოვან მასივებთან იყო დაკავშირებული. თაობიდან თაობას გადაეცემოდა კლდეების დაძლევისა და დამუშავების ტექნიკა, რომელიც ქართველმა მთამსვლელებმაც შეისისხლხორცეს. აი, სწორედ ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ 1937 წელს გაბრიელ ხერგიანის ჯგუფი სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლით ავიდა სამხრეთ უშბაზე და ჩვენს ქვეყანაში დასაბამი მისცა იგრეთწოდებულ კლდოვან ასვლებს.

1955 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. მარის ჯგუფის მიერ სამხრეთ უშბაზე დასავლეთის კედლით ასვლამ საბოლოოდ დაუმკვიდრა პრიორიტეტი ქართველ მთამსვლელებს ტექნიკურ კლასში. შემდეგში ამის ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო ის, რომ მ. ხერგიანის ჯგუფმა ურთულესი — მე-6 კატეგორიის გზით უძუდაქანების კედლით დაიპყრო უშბა. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

1947 წელს დომბაის მთამსვლურ ბანაკში, ამჟამად სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საბჭოთა კავშირის მეკლდეურთა კომიტეტის თავმჯდომარის ი. ანტონოვიჩის ინიციატივით პირველად ჩატარდა მეკლდეურთა შეჯიბრება. ასე დაიბადა სპორტის ახალი სახეობა — მეკლდეურობა. ქართველმა ახალგაზრდობამ იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიჩინა მეკლდეურობისადმი და 1948 წელს თბილისში პირველი შეჯიბრებაც გაიმართა. სწორედ ამის შემდეგ იწყება მეკლდეურობის სწრაფი აღმავლობა საქართველოში.

უკვე ორმოცდაათიან წლებში ქართველი მეკლდეურები საკავშირო სარბიელზე საპრიზო ადგილებს იკავებენ. 1952 წელს პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატში საუკეთესო იყვნენ შ. მარგიანი და მ. ხერგიანი. იმ დღიდან მათი სახელები მჭიდროდ დაუკავშირდა სპორტის ამ სახეობას.

მომდევნო წლებში ქართველ მთამსვლელთა თაოსნობით ეწყობა კავკასიის მეკლდეურთა შეჯიბრება, რომელშიც ჩეჩენ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, სომხეთისა და საქართველოს გუნდები მონაწილეობენ.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მთამსვლელთა სექციების ბაზებზე ფართოდ გაიშალა მუშაობა. განსაკუთრებით თბილისის უნივერსიტეტში, ფიზკულტურის, პოლიტექნიკურ და პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

1960 წელს ყირიმში, „კრესტოვაია გორაზე“ მ. ხერგიანი საბჭოთა კავშირის მეკლდეურთა აბსოლუტური ჩემპიონი ხდება. იმავე წელს იგი ცნობილ მთამსვლელთან — ი. კახიანთან ერთად, როგორც საბჭოთა ალპინისტთა დელეგაციის წევრი, ინგლისში მიემგზავრება. მიხეილმა დიდი ბრიტანეთის კლდეებზე უზადო ტექნიკა, მოხერხებულობა და მამაცობა აჩვენა, რისთვისაც ინგლისელებმა მას „კლდის ვეფხვი“ შეარქვეს.

1963 წელს საბჭოთა მთამსვლელობას 40 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი თბილისში აღინიშნა. თბილისშივე მოეწყო მეკლდეურთა საჩვენებელი გამოსვლები. შეჯიბრება მეტეხის კლდეებზე ჩატარდა. XVII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ფერადაივნიანი სახლები, მდორედ მომდინარე მტკვარი და ნაირფერი ალმები რუხი კლდეების ფონზე არაჩვეულებრივ კოლორიტს ქმნიდა. სანაპიროზე აუარებელ მაყურებელს მოეყარა თავი. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ მიხეილ ხერგიანის გამოსვლას.

...უჩვეულო სანახაობას უმზერდნენ თბილისელები და ზემოზე ჩამოსული სტუმრები. კლდეებზე აკრობატული ილეთებით დაეშვა „კლდის ვეფხვი“. მისი წითელი მაისური მეტეხის რუხ კლდეებზე ფრინველივით ფარფატებდა. რესპუბლიკური გაზეთები წერდნენ: ეს იყო ზღაპრული სანახაობა, რომელმაც ათასობით თბილისელის ყურადღება მიიპყრო.

1964 წელს პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატში წყვილთა გარბენჩიანი „ყირიმის წყვილებში“ ოქროს მედლებს დაეპატრონნენ. ისინი გახდნენ პირველი სპორტის ოსტატებიც მეკლდეურობაში. თბილისელთა საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა მეკლდეურმა ქალმა ი. თურმანიშვილმაც.

იმავე წელს ლ. გურჩიანი იტალიაში კლდოვან მწვერვალზე ასვლებში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში მიიწვიეს.

ყაბარდო-ბალყარეთში მინისტრთა საბჭოს თასზე ყოველწლიურად ტარდება „კავკასიის ჩემპიონატი“, რომელიც თავისი მნიშვნელობით მესამეა სსრ კავშირის ჩემპიონატისა და პროფკავშირთა საკავშირო პირველობების შემდეგ. „კავკასიის ჩემპიონატი“ ერთგვარ ძალთა დემონსტრირებას წარმოადგენს საკავშირო პირველობის წინ. 1971 წელს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 გუნდი: ბაქსანის, დომბაის, წვიახისა, ჩვენი „აილამას“ მთამსვლური ბანაკები აგრეთვე, გროზნოს, ნალჩიკის, სტავროპოლის, ტირნიაუზის, ორჯონიკიძისა და თბილისის გუნდები. საინტერესო იყო ამ ჩემპიონატის ორგანიზაციული მხარე, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მეკლდეურთა სხვა შეჯიბრებებისგან. ყოველი გუნდი უნდა გამოცხადებულიყო ქალაქ ტირნიაუზთან, კლდეების ძირში მდებარე მოედანზე თავისი კარვებით, საძილე ტომრებით, საგზალითა და მთამსვლელური აღჭურვილობით. ყოველ გუნდს უნდა ჰყოლოდა თავისი მსაჯი.

თბილისელ მეკლდეურთა ნაკრებში II ადგილსა და ვერცხლის მედალს იმსახურებენ მ. ხერგიანი და შ. მარგიანი, ხოლო ინდივიდუალურ ბრძოლაში მიხეილი ჩემპიონი გახდა.

ორი წლის შემდეგ ქართველ მეკლდეურებს პირველი საკავშირო შეჯიბრება ელოდათ. ასპარეზობაში, რომელიც ყირიმის კლდეებზე ჩატარდა, გუნდურ პირველობაში თბილისელებმა იყოჩაღეს, ხოლო პირად შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა მ. ხერგიანს, რომელმაც აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა.

1967 წელს მ. ხერგიანი მოსკოველ სპორტის ოსტატ ს. ონიშჩენკოსთან ერთად საფრანგეთის ალპებში გრანდ კაპუცინზე, პტი-დრიუზე და გრანდჟორასზე უმაღლესი სირთულის გზებით ადის, თანაც საოცრად სწრაფად. ამ დროისთვის რესპუბლიკაში უკვე არის მეკლდეურთა საკმაოდ კარგად მომზადებული გუნდები მესტიაში, ქუთაისში, ყაზბეგში და თბილისში. მათ მიემატა მეკლდეურთა ახალი სექციები თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმიდან (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი პ. გვარლიანი) და თბილისის განათლების განყოფილების ახალგაზრდული მთამსვლური სპორტსკოლიდან (დირექტორი ნ. კანკავა).

1968 წლიდან თბილისელ მეკლდეურთა შეჯიბრებების კალენდარი კიდევ ერთი კარგი ღონისძიებით შეივსო. ეს არის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, რომელიც მეტეხის კლდეებზე 9 მაისს ტარდება.

1969 წელს მეკლდეურობამ ოფიციალური აღიარება ჰპოვა. საკავშირო სპორტკომიტეტმა დაამტკიცა სათანრიგო ნორმები. მთამსვლელთა საკავშირო ფედერაციასთან შეიქმნა მეკლდეურთა კომიტეტი. ბუნებრივია, ასეთივე კომიტეტი ჩამოყალიბდა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციასთანაც. ამავე დროს თბილისის სპორტკომიტეტის უმაღლესი დაოსტატების სკოლაში სამი ჯგუფი გაიხსნა, სადაც მწვრთნელებად მიიწვიეს მ. ხერგიანი, ნ. კანკავა და პ. გვარლიანი.

1969 წელს საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, მ. ხერგიანის გარეშე გაიმართა — მიხეილი იმ წელს იტალიის დოლომიტებში ტრაგიკულად დაიღუპა. ყოველივე ეს საკავშირო ჩემპიონატში განსაკუთრებულ სიძნელეებს უქმნიდა ქართველ მეკლდეურებს. ჩვენმა სპორტსმენებმა მობილიზაცია გაუკეთეს თავიანთ ძალებს და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაამართლეს იმედები — თბილისელთა გუნდი ვერცხლის პრიზიორი გახდა, ხოლო ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდა მეკლდეურები ი. გელდიაშვილი და ლ. გურჩიანი მაშინ კარგი შედეგით დაბრუნდა. მას შემდეგ თბილისელები მრავალი წლის განმავლობაში ამ შეჯიბრების ჩემპიონები და ყაბარდო-ბალყარეთის მინისტრთა საბჭოს თასის მფლობელები არიან.

მეკლდეურობამ — საბჭოთა სპორტის პირმშომ მრავალი თაყვანისმცემელი და მიმდევარი შეიძინა უცხოეთშიც. ამისი დასტური იყო ის, რომ 1972 წელს მიუნხენში, XX ოლიმპიური თამაშების დროს ახალგაზრდა მთამსვლელების 17-დღიანი შეკრება-შეჯიბრება მოეწყო. შეკრებამ 20 ქვეყნის წარმომადგენელს მოუყარა თავი. შეჯიბრების მიზანი იყო მეკლდეურობის აქტუალური საკითხების სადისკუსიოდ გამოტანა. საბჭოთა კავშირიდან მიუნხენში სამი მთამსვლელი-მეკლდეური იყო მიწვეული, ლენინგრადელი სპორტის ოსტატები, ინჟინერი გ. გავრილოვი, ასპირანტი ა. ლიპჩენკო და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. გურჩიანი.

ახალგაზრდა მეკლდეურთა შეკრებაზე დღის წესრიგში ძირითადად ორი საკითხი იყო: მეკლდეურობის პოპულარიზაცია და დისკუსია საკითხზე — მეკლდეურობა, როგორც ოლიმპიური სახეობა.

1976 წელს გაგრაში მეკლდეურთა პირველი საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა. საქართველოს ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. მესამეზე იყო პოლონელთა გუნდი. I ადგილი კი საბჭოთა კავშირის ნაკრებს ხვდა. ამ შეჯიბრებას მოჰყვა მ. ხერგიანის პირველი მემორიალი, რომელშიც საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა. ხერგიანის პრიზი მისმა მოწაფემ — ლ. გურჩიანმა მოიპოვა.

1977 წელს იალტაში ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა, რომელიც მეკლდეურობის 30-ე წლისთავს დაემთხვა. საქართველოს ნაკრებმა ამ ჩემპიონატში III ადგილი დაიკავა.

საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ნაწილი საქართველოში გამომგზავრა მ. ხერგიანის მემორიალში მონაწილეობისთვის. აქ აბსოლუტური I ადგილი კვლავ ლ. გურჩიანმა დაიკავა.

უკანასკნელ წლებში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა მეკლდეურობაში საქართველოს ჩემპიონატების ჩატარება ახალ-ახალ რაიონებში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: ერთის მხრივ — განსხვავებული კლდოვანი მასივების გაცნობა-ათვისება, მეორეს მხრივ — სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია. ყოველი ასეთი შეჯიბრება, რომელსაც ბევრი მაყურებელი ჰყავს, მთამსვლელობის ნამდვილი ზეიმია. მაგალითად, შეჯიბრებები ტარდება გაგრაში, ჭიათურაში, ყაზბეგში... 1976 წელს საქართველოს პირველობა მოეწყო კურორტ გაგრასთან, რიწის ტბისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც ჯერ მდინარე ბზიფის და შემდეგ კი გეგას ხეობას მიჰყვება.

მაღალი კლდეების ძირას, უამრავი მაყურებლის თვალწინ, სპორტსმენები კლდეებზე საოცარი სისწრაფით ადიოდნენ 80 მეტრის სიმაღლეზე და რამდენიმე წამში თოკით ეშვებოდნენ ძირს. ეს შეჯიბრება უთუოდ საუკეთესო საშუალება იყო მეკლდეურობის პოპულარიზაციისთვის.

ჩვენი ქვეყნის მეკლდეურებს დიდი წვლილი შეაქვთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. ცნობილია, რომ საბჭოთა მეკლდეურები მონაწილეობას იღებდნენ ნურეკის და ენგურჰესის მშენებლობაზე.

დღეისთვის კარგად არის ცნობილი წარსულში საუკეთესო მეკლდეურისა და მთამსვლელის ა. მჟავანაძის სახელი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია მოახმარა საყვარელ საქმეს: მუშაობდა მეკლდეურთა სამუშაოების ხელმძღვანელად ენგურზე, ბამზე, შორეულ აღმოსავლეთში თუ აჭარაში. დღეს იგი საგზაო სამუშაოებს ხელმძღვანელობს, რომელიც კლდეებთან და მის უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული გაგრის რაიონში და აჭარაში.

დღეისთვის ქართველ მეკლდეურთა ავანგარდში დგანან: ლ. გურჩიანი, ი. გელდიაშვილი, ი. თურმანიშვილი, თ. ქიტუაშვილი, გ. საბანიძე, ა. ხერგიანი, ნ. ნიგურიანი, შ. ქოქოშვილი, ნ. ქურასბედიანი, ნ. დიდებულიძე და სხვები.

წარმატებით ეუფლებიან მეკლდეურობის ტექნიკას თბილისის განათლების განყოფილების მოზარდ მთამსვლელთა სპორტული სკოლის მოსწავლეები მესტიაში, ყაზბეგში, სამხრეთ ოსეთში...

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად ყოველწლიურად ატარებს მსაჯთა მოსამზადებელ სემინარებს მეკლდეურობაში.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მეკლდეურთა კომიტეტის მიერ გამოსაცემად მომზადებულია კრებული, რომელიც ამ ცოტა ხანში გამოვა. იგი გათვალისწინებულია ფართო საზოგადოებრიობისთვის მეკლდეურობის უკეთ გასაცნობად.

**დ. გოზალიშვილი,**
**საქართველოს ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსი.**



# დღეს სპორტის სასახლეში

## ძიუდოისტთა თბილისის VIII საერთაშორისო ტურნირის წინ

დაიწყება ძიუდოისტთა VIII საერთაშორისო ტურნირი. გადავწყვიტეთ ინტერვიუ აგვეღო საქართველოს ძიუდოისტთა უფროსი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის **ბ. მაზიაშვილისაგან.**

— ჰო, ჩემი ნახვა მართლაც ძნელია, — გვეუბნება ბ. მაზიაშვილი. — ხან ალთას ვარ, ხან ბალთას. ეს ესაა სპორტის სასახლეში ლეიბები დავაგეთ. ახლა ჩვენს ბიჭებთან მიმეჩქარება — მთხოვეს, ტურნირისთვის ბილეთები აგვიღეო. თორმეტ საათზე იქ უნდა ვყოფილიყავი. ახლა უკვე პირველია. მერე კრება გვექნება, საღამოს კენჭისყრაა...

**— მკითხველებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, თუ რომელი ქვეყნის ძიუდოისტები გამოვლენ სპორტის სასახლეში.**

— დღეისთვის თბილისში უკვე ჩამოვიდნენ სსრ კავშირის, კუბის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები, ხოლო იაპონიის, საფრანგეთის, გდრ-ის, გფრ-ის, იუგოსლავიის, პოლონეთის, უნგრეთის, ფინეთისა და მონღოლეთის გუნდები წუხელ მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში იყვნენ და, ალბათ მალე ჩამოვლენ. აღსანიშნავია, რომ იაპონიას ყველა წონით კატეგორიაში თბილისში აქამდე არასოდეს უასპარეზია. ეს ქვეყანა საუკეთესო მოჭიდავეებით წარსდგება მაყურებელთა წინაშე. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო იამასიტა. მსოფლიო პრესა იამასიტას ამომავალ ვარსკვლავს უწოდებს. იგი 20 წლისაა. შარშან იაპონიის ძიუდოისტთა აბსოლუტურ პირველობაში იამასიტამ დაამარცხა თბილისელთათვის კარგად ცნობილი მოჭიდავეები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები ენდო, ნინომია, ტაკაგი და სხვები. ასე რომ, ყველანი დიდი ინტერესით ველით იამასიტას გაცნობას.

**— იმედია, საქართველოს ძიუდოისტთა მთელ ნაღებს ვიხილავთ ტატამზე.**

— რა თქმა უნდა. მათ შორის იქნებიან ისეთი ცნობილი ძიუდოისტები, როგორებიც არიან ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები: შოთა ჩოჩიშვილი, რამაზ ხარშილაძე, ოლეგ ზურაბიანი, თემურ ხუბულური, ჯიბილო ნიჟარაძე, ამირან ობგაიძე... სარბიელზე გამოვლენ ახალგაზრდებიც. ესენი არიან: გურამ ნაკანი, თამაზ ნამგალაური, თამაზ კარიაული, შოთა ხაბარელი, ჰამლეტ ლოლაშვილი, ელდარ დამადაევი, ნოდარ ნუგზარიშვილი, თემურ დონდუაშვილი... ისინი სსრ კავშირის ახალგაზრდული თამაშებისა და ევროპის იუნიორთა ჩემპიონები და პრიზიორები არიან. გუნდში სულ 25-28 კაცი გვეყოლება. სხვათა შორის, სპორტის სასახლის სარბიელზე ვიხილავთ სსრ კავშირის ჩემპიონებს... სამბოში — აკაკი ოქროპირიძესა და დათო ბოდაველს. საერთოდ, სსრ კავშირის გუნდში ბევრი სამბისტი იქნება. საქმე ის არის, რომ სამბო, როგორც მოგეხსენებათ, ოლიმპიური სახეობა არ გახლავთ. ამიტომ, საკავშირო სპორტკომიტეტმა გადაწყვიტა სამბისტები ძიუდოისტთა ტურნირებში გამოსცადონ. თუ თავს გამოიჩენენ, ამპლუას შეიცვლიან. საერთოდ, სამბოში ვარჯიში ძიუდოისტთა დამხმარე მეცადინეობად ითვლება და ამანაც განაპირობა საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილება.

**— როგორც გავიგეთ, თბილისის საერთაშორისო ტურნირი ახალი წესებით ჩატარდება...**

— თავდაპირველად წონითი კატეგორიების მიხედვით 8-8 ქვეჯგუფები შეიქმნება. თითოეულ ჯგუფში ოთხზე მეტი კაცი არ იქნება. ისინი წრიული სისტემით ჩაატარებენ შეჯიბრებას. შემდეგ ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასულები, სულ 16 კაცი, ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ტურნირს თავისი დამამშვიდებელი შეჯიბრებებით. ასეთი სისტემით შეჯიბრება წლეულს პირველად საფრანგეთში ჩატარდა. შეჯიბრების ეს პრინციპი მოიწონეს...

ამ საუბარში მანქანა გაჩერდა სასტუმრო „უჩბის“ წინ. ჩვენი ძიუდოისტები მწვრთნელს კართან მოუთმენლად ელოდნენ...

ა. გურასაშვილი.

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეხუთე ტირაჟებისა, რომელიც მოსკოვში 4 თებერვალს მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 234, სამისთვის — 7.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 161, სამისთვის — 5.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-6 ტირაჟი.

**„სპორტლოტო“:** 2 (საავტომობილო სპორტი), 14 (ფრენბურთი), 18 (რიკაობა), 23 (მძლეოსნობა), 40 (ტურიზმი), 44 (ფიგურული ციგურაობა). შეღავათიანი ბურთულა — 43 (ფარიკაობა).

**„სპორტლოტო-2“:** 1 (საავიაციო სპორტი), 2 (საავტომობილო სპორტი), 7 (ბიატლონი), 14 (ფრენბურთი), 26 (მოტობურთი), 29 (საპარაშუტო სპორტი). შეღავათიანი ბურთულა — 38 (მშვილდოსნობა).

# ჩემპიონები მესამედ

**თბილისში** დამთავრდა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების IV სპარტაკიადის ფინალური ტურნირი კალათბურთში. როგორც ვიტყობინებოდით ფინალში ოთხი გუნდი გავიდა.

ფინალის პირველ მატჩში თბილისელთა მეტოქე იყო მოსკოვის გუნდი. პირველი ტაიმი მძაფრ ბრძოლაში ჩატარდა და შესვენებაზე გუნდები წავიდნენ, როცა ერთი ქულით (39:38) წინ იყო თბილისის კოლექტივი. მასპინძლებმა ეს უპირატესობა არამცთუ შეინარჩუნეს, არამედ გაზარდეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 79:76. როგორც ყველა წინა შეხვედრაში, ამჯერადაც საუკეთესო სნაიპერი იყო ვ. ჭვერენაია — 28 ქულა. ამ მაჩვენებელს გადააჭარბა მოსკოველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ო. მოროზოვმა — 32 ქულა.

შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ რიგისა და ოდესის გუნდები. ჯგუფურ ტურნირში ოდესელებმა სძლიეს რიგელებს 70:64, მაგრამ ამჯერად გამარჯვება ლატვიელთა მხარეზე იყო — 82:76.

ამრიგად დასკვნითი დღისათვის დაუმარცხებელნი მხოლოდ თბილისელები იყვნენ. თბილისელებს წაგებაც კი ხელს აძლევდათ, ოღონდ არაუმეტეს 12 ქულისა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიმარჯვებდნენ ოდესელები. მათ მხოლოდ სამი ქულით მოუგეს თბილისელებს — 79:76 (39:36). ამრიგად სამმა გუნდმა (თბილისი, რიგა, ოდესა) ერთნაირი ქულები დააგროვა. ბურთების უკეთესი სხვაობის გამო პირველი ადგილი თბილისელებს მიეკუთვნა, მეორეზე ოდესელები დარჩნენ, ხოლო III — რიგელები.

თბილისელთა წარმატება დამსახურებულია და მასში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს, მედიცინის მეცნიერების კანდიდატს ნ. გუგუნავას.

ტურნირში დაწესებული პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მოთამაშისა — ვ. ჭვერენაიას, საუკეთესო თავდამსხმელისა — ა. გეინიცს (დუშანბე), საუკეთესო ბომბარდირისა — ნ. სტოიკოვს (ოდესა), საუკეთესო მცველისა — მ. ოიარს (რიგა), საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელისა — ო. მოროზოვს (მოსკოვი), საუკეთესო მსაჯისა — ი. კაპუსტიანსკას (ლვოვი).

ფ. ლეონიძე.

## კალათბურთი

**საქართველოს** პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გაიმართა მორიგი შეხვედრები კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის პირველი ლიგის საკავშირო პირველობაზე. თბილისის „ბურევესტნიკმა“ უმასპინძლა ვოლგოგრადის „დინამოს“. პირველ შეხვედრაში მასპინძლებმა სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ — 82:89. თბილისის გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ თ. ლობიანი 22 ქულა, ე. კვინიკაძე 16, ა. ზაზარჯიანი 15. სტუმართაგან — ა. კუზმინა — 22 და ს. სოკოლოვა — 24 ქულა.

მასპინძლებმა გაითვალისწინეს პირველ მატჩში დაშვებული შეცდომები და განმეორებით შეხვედრაში თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და საბოლოოდ დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 110:79.

## მშვილდოსნობა




„მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე

# ჯილდო — „კოლმეურნეს“

**უკვე** მესამე წელია საქართველოს მშვილდოსნები სეზონს აღრიანად — გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციის პრიზის გათამაშებით იწყებენ. სპეციალისტების აზრით, ტურნირი ხელს უწყობს სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფას: ამ შეჯიბრებების ზოგიერთმა მონაწილემ შემდეგში თავიანთი სპორტსაზოგადოებების ჩემპიონატებში ისახელა თავი.

გაზეთის პრიზის მორიგი გათამაშება ამ დღეებში საქართველოს სპორტკომიტეტის ფარიკაობის დარბაზში მოეწყო. ბრძოლაში ჩაებნენ „კოლმეურნის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივისა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდები. სტუდენტები ორი კოლექტივით გამოვიდნენ, მაგრამ ამჯერად მათ შემადგენლობაში რატომღაც ვერ ვიხილეთ ცნობილი ოსტატები ქ. ლოსაბერიძე, გ. რიჟამაძე, ლ. სორდია, ბ. მეფევიძე და ნ. ნოვოსელცოვა, რამაც „კოლმეურნეს“ საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება გაუადვილა.

ტურნირმა თავიდანვე დაძაბული, საინტერესო ხასიათი მიიღო. იგი გახსნეს ქალებმა, რომლებიც 50 და 30 მეტრიდან მშვილდოსნობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ორი დღის შედეგით ყველას აჯობა ბათუმელმა სპორტის ოსტატმა ლ. ტოპოროვამ.

იგი 20 წლისაა. ვარჯიში ა. შოუას ხელმძღვანელობით ოთხი წლის წინათ დაიწყო. ამ ხნის მანძილზე ბევრს მიაღწია: გახდა სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი, დუშანბეში გამართულ ტაჯიკეთის ღია ჩემპიონატში II ადგილი მოიპოვა. და აი, ახლა მორიგი წარმატება.

გამარჯვებულს თავიდან მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ თანაგუნდელი ა. ტოცკაია და „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრი რ. ქართველიშვილი, მაგრამ შემდეგ ვერც ერთმა ვერ შეინარჩუნა მონაპოვარი. საბოლოოდ პირველობა ტოპოროვას დარჩა. მან 1237 ქულის მოგროვება შეძლო. II ადგილზეა ლ. ტოცკაია — 1170, მესამეზე — რ. ქართველიშვილი — 1155.

ვაჟებიც ამ დისტანციაზე ასპარეზობდნენ. უდავო იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილის ნ. მიქელაძის („ლოკომოტივი“) უპირატესობა. მან მეტოქეებს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა. ყველა დისტანციაზე მოწინააღმდეგეებს აშკარად სჯობდა და საბოლოოდ 1264 ქულა მოაგროვა. მეორე პრიზიორი გ. არჩვაძე („ბურევესტნიკი“) მას 41 ქულით ჩამორჩა. III ადგილი ერგო გ. ბასილაძეს („კოლმეურნე“) — 1209.

შეჯიბრებაზე მყოფი სპეციალისტებისა და მწვრთნელების აზრით სეზონის დასაწყისისთვის შედეგები საკმაოდ მაღალია, მაგრამ ისინი შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, სპორტსმენებს სათანადო ხელშეწყობა რომ ჰქონდეთ; არ კმარა ზამთრობით ვარჯიშისთვის საჭირო ბაზები, ხარისხიანი მშვილდები, ისრები და ბუნიკები.

ახლა ჩვენი სპორტსმენები წლევანდელი საკავშირო ტურნირებისთვის ემზადებიან, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის დაიწყებენ წვრთნას.

„მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზი მოიგო „კოლმეურნის“ ნაკრებმა, რომელმაც 7115 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „ბურევესტნიკის“ პირველი გუნდი (7015) და „ბურევესტნიკის“ მეორე (4399) კოლექტივი.

ქ. ქარუმიძე.

* * *



**სურათებზე:** ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებული ლ. ტოპოროვა „ცეცხლის ხაზზე“; ვაჟთა შორის უძლიერესი ნ. მიქელაძე (შუაში) ამოწმებს მორიგი სერიის შედეგებს.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

# პირველი სასიამოვნო შემთხვევა

## თხილამურები

გარმიშ-პარტენკირხენის მიდამოებში ქალებმა გიგანტურ სლალომში შეჯიბრებით დაამთავრეს მსოფლიო ჩემპიონატი. სამჭიდში უძლიერესი გახლდათ ცნობილი ავსტრიელი ა. მოზერპროლი, რომელმაც მანამდე ამ ჩემპიონატში სწრაფდაშვებაში იმარჯვა.

გიგანტური სლალომი ორი ცდით მასპინძელმა მ. ეპლემ (გფრ) მოიგო, მომდევნო ადგილზე გავიდა ამ სახეობაში შარშანდელი მსოფლიო თასის მფლობელი ლ.-მ. მორერო (შვეიცარია). პროლს ბრინჯაო ერგო, რამაც ფაქტიურად განაპირობა მის მიერ სამჭიდში დიდი ოქროს მედლის მიღება.

სამჭიდში ვერცხლი ერგო ჰ. ვენცელს (ლიხტენშტაინი), ბრინჯაო — ფრანგ ფ. სერას.

საბჭოთა სპორტსმენებიდან უკეთესი იყო ნ. პატრაკეევა (მოსკოვის ოლქი). მან ათეულში დაიკავა ადგილი.

ვაჟთა შორის ჩემპიონატის ბოლო სახეობა გახლდათ სპეციალური სლალომი. 450-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 190 მ, 56 და 62 კარი) პირველი ცდა ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონმა იტალიელმა პ. გროსმა მოიგო — 51,29. შვედი ი. სტენმარკი მას 0,27 წამით ჩამორჩა, მაგრამ მეორე ცდაში სტენმარკმა დანაკარგი აინაზღაურა და საბოლოოდ პირველობა მოიპოვა — 1.39,54. ვერცხლის მედალი ერგო გროსს — 1.40,2. ბრინჯაოსი — პ. ფრომელტს (ლიხტენშტაინი), რომელმაც გროსთან 0,27 წამით წააგო. სტენმარკისთვის ეს მეორე ოქროს მედალია ამ ტურნირში.

საბჭოთა სპორტსმენებიდან 102 მონაწილეს შორის XVI ადგილი დაიკავა ვ. ანდრეევმა — 1.48,35, გ. ციგანოვის შედეგია 1,50,88 (28-ე ადგილი), ვ. სინეტოვისა — 1.51,57 (30-ე).

სამჭიდის ჯამში დიდი ოქროს მედალი მოიგო ა. ვენცელმა (ლიხტენშტაინი), რომელმაც 2732,34 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზ. ფერსტლი (გფრ) და პ. პატერსონი (აშშ).

სამთოსათხილამურო სპორტის ისტორიაში პირველად საბჭოთა სპორტსმენებიდან მეოთხე ადგილი მოიპოვა ვ. ანდრეევმა. მოსკოვის ოლქის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა 2773,87 ქულის მოგროვება შეძლო. მეხუთე ადგილზე გავიდა მონჩეგორსკელი ვ. ციგანოვი (საკდესი).

## ჭიდაობა

**მოსკოვის** ცსკა-ს ძალოსნობის სასახლეში გაიმართა საბჭოთა და ამერიკელ მოჭიდავეთა ბოლო სამატჩო შეხვედრა. ამჯერადაც გამარჯვება თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეთა მხარეზე იყო — 9:3. ცალკეული შეხვედრებიდან აღსანიშნავია ვ. ახმედოვისა და მ. მანეიანტის ორთაბრძოლა. ორივე მოჭიდავემ ილეთების მთელი სერია ჩაატარა. მინიმალური სხვაობით 16:15 გაიმარჯვა საბჭოთა ათლეტმა. აღსანიშნავია, აგრეთვე ს. კორნილაევის შეხვედრაც ამერიკელ რ. სალამონთან: მე-8 წუთზე სუფთა გამარჯვებას საბჭოთა მოჭიდავემ მიაღწია.

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და გარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 01958